

ბულთა კრებები, — ბევრი ლაპარაკობენ, ბევრსაც ცხარად, მაგრამ ან უფრო უფრო და ლაპარაკი, როგორც განუღებელი, სიკაცობის და გატაცების მოკლე-ბულია ეს სიტყვა. უნდათ რაღაცის თქმა და ვერ მოუხერხებინათ, უნდათ ჯავრის ამოყრა და ვერ ბედავენ, ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ საქმის ცოტათუდენი გახდა. არა აქვთ, ვერ ბედავენ იმიტომ, რომ ხშირად გრძობენ მინც თავის ცალმხრივობას და ჯავრის ამოყრის უკიდურესობას... არც ერთი ორატორი, არც ერთი საქმის მკაცრად რწმუნებული... თითქმის შემთხვევით თავმოყრილიყვენ აქ ქუჩაში მოსვლენ ნაცნობები და ბანკე ლაპარაკი დაწყობენ...

და, თუ ლაპარაკობენ, უფრო იმაზე, რაც ნაცნობანათესავების ჯიბეს უხდება და არა იმაზე, რაც თვით ბანკისთვის არის საჭირო...

ამიტომ საქმე არა ეთდება რა ბანკში და თვით კრებები ყოველივე საზოგადოებრივ ინტერესს მოკლებულია. რადენი ოლბარაკის, მაგ., დიდილენტი ვანაწილებს, — რატომ? იმიტომ რომ ამ განაწილების შეცვლა ნაცნობანათესავების ოროდელ მანეთს შემატრება და ამოკლებდა და ნაცნობანათესავის ლალატი არავის უნდა.

რადენი ცხარე სიტყვები მოარტყეს გამგებებს, — რატომ? იმიტომ რომ წრეულს დირექტორის არჩევა იყო და ეს საყვედურები ნიდაღს უშობდებდნენ ამა თუ იმ კანდიდატს არჩევს...

რადენი ოლბარაკის ისეთ რამებზე, რასაც ბანკისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და როგორც მკრთალად ჩაატარეს აღწერა იმ ნაირ-ნაირ ნაქონსა, რომელთაც ბანკის ზარალი და მისი დაღუპვაჲ კი შეუძლიათ.

ბანკს მოგება დარჩა თითქმის 200,000 მანეთი, — ამ მოგებაზე, ამ ორსამა ათასმა მანეთმა ათასნაირი სხვა და სხვა საზოგადოებრივი მოთხოვნილება უნდა დაეკმაყოფილოს, მის კუთხის, მის შესაბამისი ვალი ადგილობრივი დაწესებულება...

ეს მოგება ერთი ორად გაიზარდებოდა და ბანკს ნახევარი მილიონ მანეთადის წინადა მოგება ექნებოდა, აურთიერელი მიწები ბანკზე დარჩენილი რომ არ ყოფილიყო: ამ ბანკზე დარჩენილი მიწების ზარალი თვით გამგებობის გამოანახებისთვის 300,000 მანეთზე მეტია. ეს საბაზი ათასი მანეთი მოგებას დააკლდა, ეს საბაზი ათასი მანეთი ქართველების სხვა და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობას მოხმარდებოდა, — და თუ არ მოხმარდა, იმიტომ, რომ ეს ამოდენა ფული დაიკარგა, იმიტომ რომ ეს საბაზი ათასი მანეთი ბანკმა იზარალა...

მიუკთა თუ არა ამ ზარალს რწმუნებულთა კრება ჯეროვანი ყურადღება? არა!

გამოვიკლიო თუ არა მისი ზიზები? არა. მიიღო თუ არა რაიმე ზომები, რომ შემდეგში მანც ამათი ზარალი აღარ განმორდებდა და ამათი ბანკის მოგებაში ერთი ორად იმატოს? არა, არა და არა!

ყურადღება არ მოუქცევია იმიტომ, რომ ამ საქმეში ხელის ფაფურის საწყენი უნდა ყოფილიყო დამფასებელ კომისიისთვის, გამგებობისთვის და ზედამხედველ კომიტეტისთვის, არ მიიღეს არავითარი ზომები იმიტომ, რომ ამ ზომებს უყურადღებოდ დასტავებდა და არ შესასრულებდა არც დამფასებელი კომისია, არც გამგებმა და არც ზედამხედველ კომიტეტი...

და გამგებობის, ზედამხედველ კომიტეტის და დამფასებელ კომისიის წევრმა ხომ ნაცნობანათესავების წევრმა და ნაცნობანათესავის წევრის აბა ვინ არ მოერიდებოდა...

ეს წევრმა მანათი დამფასებელი არ იყო, — საბაზის ათასი მანეთი წლიური ზარალი ხუმრობა არ არის...

არა გვეგონია ვისმე კრებაში სჯეროდეს, რომ ეს ზარალი მხოლოდ გარეშე მიხეზების საქმე ყოფილიყოს, — სარველოეცოლი მოძრაობისა და საყოველთაო უფულობისა და სხვა. ან როგორც იქნება დაჯერება, როდესაც ამის შემოწმება შეიძლება...

ეს წევრმა არ მოხსენდა კრებას დარჩენილ მამულის სია, რომელშიც აღნიშნული უნდა ყოფილიყო ყოველი მიწის მთლიანი მფლობელი, რომელსაც ვ. ი. ვინ იყო მისი პატრონი, როდეს შეფასდა მამული, როგორ შეფასდა, ვინ შეფასდა, იყო თუ არა შეფასება სწორად ან გადაამეტრებულად, დაგორავების შემდეგ რადიკალურ შემო-

ტანა პატრონმა გადასახადი, რად ვერ მოახერხა ვალის გადახდა, რა მდგომარეობაში დაუხვდა ბანკს სახლი, რადენი შემოსავალი აქვს ახლა სახლს და რამდენად მისი ახლანდელი, ნამდვილი შემოსავალი ან დასი ეთანხმება დღეგრძელების დროს დამფასებელ კომისიისაგან ნავარაუდევ ვალს და შემოსავალსაყ...

ეს ცნობები აუცილებლად უნდა მოხსენებოდა კრებას და ეს ცნობები აუცილებლად უნდა მოეთხოვა კრებას... ვი-მეორება, 300,000 მანეთი წლიური ზარალი ხუმრობა საქმე არ არის...

კრებაზე იდელი კამათი და შეხებება იყო იმის გამო, გამგებობა რომელი ციფრი როგორ უნდა ჩასწეროს ანგარიშებში, და იმაზედ კი თავს არავინ იტყულებდა, რომ მომავალი შეუძლებელი გამხდარიყოს ბანკზედ ამდენ მამულის დაჩრქნა და ბანკისაგან ამდენ ზარალის ნახევა...

ან რადენი ყურადღება მიუკთა კრებამ ბანკის იურისკონსულტების ნაშობ-ქველარს, იცის თუ არა მან, სასამართლოებში საქმეები მართლად გამოცდილ და მშრომელ პირთა ხელშია თუ არა? ის სია, რომელიც წარედგინა გამგებობას რაიმე ვარგა ვანა, რასმდე ვცხნის, რამე საქმიან ცნობებს ვამდებ? აქაც არა და არა! ან რა საქმიანა ყველა ის მოხსენიება, რომელიც წარუტრანს კრებას იურისკონსულტების, გამგებობა, ზედამხედველმა კომიტეტმა, დამფასებელმა კომისიამ და რომლებიც ბანკის მდგომარეობის შესახებ არავინ გაგება არ შეიძლება? სივრცის წინაშე სიტყვან ზედაზედამსწრებმა, გაიგეს ბანკი რა მდგომარეობაშია თუ არა, უნდადით ამის გაგება თუ არა?

ისე ვარა, არა და არა! კრებაზე მოსვლა, კრებაზე ლაპარაკი და კამათი, — ყველაფერი ერთსა და იმავე მიზნით იყო გამოწვეული, ყველაფერის იგივე მიზანი ჰქონდა, — თავისიანებისთვის ლუქა პუარის ზოგნა, ნაცნობანათესავთა ჯიბის საშახური, — სხვა არაფერი!

ამას თამადავ ვამბობდა და, თუცა ზოგიერთებმა კარგად იცოდნ თვითან გულის პასუხის დამაღება და სხვა და სხვა მადლად ფარდობა სიტყვებით მისი მოღადაზება, მაგრამ სიმართლე მინც სჩანს და რწმუნებულთაგან საქმის გაუცნობლობა და საქმის უყურადღებოდ დატოვება ყველასათვის ცხადია.

ეს უყურადღებოდ დატოვება კი და მასსათემელი ქართველურ საქმისთვის ასეთხად გულგრილობას საქმეზე და გულმხურავლობას ნაცნობ-ნათესავებისადმი ვიჩინებ ჩვენ, ქართველები, ყოველს საზოგადო საქმეში და ამათ საქმესაც ვეუბნებთ.

შოგინისტი და პაროვანა

ჩვენს მწერლობაში ხშირად შეგხვდება სიტყვები — შოგინისტი, შოგინისტიერი მიმართლება, — განსაკუთრებით ჩვენებურ ს.დემოკრატებს სჩვევიათ ამ სიტყვებით იერიშის შიგანა ყველაზე, ვინც გაედავს და ქართველების დაჩავრის ან მათ ერთგულ ინტერესების მნიშვნელობას ახსენებს...

ჩვენებურ ს.დემოკრატებს რომ დაეუჯერათ, შოგინისტი ყველა კვეყნისა შერით-დემოკრატია, რადგანაც მხოლოდ სოც.დემოკრატის მდლად აფრიალებულ წითელ ღრმეზად აწერია სიტყვები: პაროვანა, შოგინისტი ყველა კვეყნისა შერით-დითა! ეს სიტყვები, მათის ახრით, მოიხიოვენ ჩვენგან ადგილობრივ, ეროვნულ ინტერესების დეფიციტს, უკუგდებას და მხოლოდ საერთო საკომპრომიზო ინტერესების თავიანთს ცემას... რა საქმიან ცოცხე ეროვნებაზე ზრუნება, რად გვინდა ამა თუ იმ ეროვნების წინ წაყვივება და გაძლიერება, — დედა მიწაზე სოციალისმი რომ განსაკუთრდება, მისი მდლიანი სხივები თანასწორად გაათავებდნენ ძლიერის და უძლიერის, მოსპობენ ერთმანეთს დაჩავრის, სრულ თავისუფლების და სრულ თანასწორობას დაამყარებენ. შოგინისტი — ძირის ეროვნული მიმართლება, ძირის ცოცხე ეროვნებაზე ზრუნვა, ძირის ბუკუაზიულ შოგინისტიური მამულიშობლობა, რომელიც ამ ცოცხე ეროვნებაზე ზრუნვას მოითხოვს და გაუპარავს საერთაშორისო სოლიდარობას, გაუმარჯოს ყველა კვეყნის შერითებულ პაროვანობას, გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატია...

ანხარი ლათიაბით მოსტყდება არა

ერთი ქართველი, — ყველა, ვინც ამ უკანასკნელ წლების ეგვიპტეობაში სოც.დემოკრატის დროშას ეფარებოდა, ამ პარტიის მეთაურებთან ერთად იძიებოდა ამის მამულიშობლობა... გაუმარჯოს პარლემენტარიატს! და არ იცოდა, რომ ამით ძირს უთხრდა თავის ეროვნულ არსებობას და ჩვენში არსებულ ეროვნულ დაჩავრის ნიდაღს უშობდებდა...

სოც.დემოკრატებმა თავიანთ ქადაგებით ჩვენში ეროვნული ბრძოლა არ მოსცეს, — ვით ამ ბრძოლაში მხოლოდ დასაბუთებ ერთი მხარე — ქართველები და ამათ ქართველების მოწინააღმდეგეებს ჩვენში გამარჯვება და ეროვნული გაბატონება ვაუღიერებს.

რა არის შოგინისტი? საკუთარ ერის გაღიერების სურვილი, სხვა ერთადღებების სურვილიან დაკავშირებული... რა არის მამულიშობლობა? საკუთარ ერის გაღიერების სურვილი, სხვა ერთადღებების სურვილიან დაკავშირებული...

ჩვენ ქართველები ვართ და გვინდა, რომ ქართველები შეზომელ და არა მგზობელ ერებს არ ჩამორჩენ არც სწავლით და არც ქონებით, არც უფლებებით და არც მომავლის იმედით, ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთივე სურვილი აქვს და უნდა ჰქონდეს ყველა სხვა ერსაც, ზოლოდ არც ერთმა სხვისი დაჩავრა, სხვისი დაჩავრით თავისი გაძლიერება ამ უნდა ისურვოს.

ჩვენი სურვილი, ქართველმა ერმა ეს გაძლიერება მოახერხოს, ს.დემოკრატებს შოგინისტიზმა ჰგონიათ, შოგინისტიზმა ჰგონიათ, როდესაც ვამბობთ, ამ გაძლიერებისთვის შეცდინებოდა არის საქმიან, საქმიან ბრძოლა ყველა იმ ძალიან, რომელიც ხელს უშლის ქართველ ერის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

როგორც მეუბნათა კლასის განათავისუფლებლად ან მის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დღეს ცხოვრებაში გაბატონებულ კლასებთან ბრძოლა საქმიან მიზანი ს.დემოკრატის იმისთვის, რომ სრული ეკონომიური თანასწორობა დამყარდეს; ისე გაბატონებულ ერებთანაც ახილდებელი ხდება ბრძოლა, რადგანაც მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ეროვნული თანასწორობა დამყარდეს...

იმ ადამიანს, რომელიც ხელს უშლის მეუბნათა კლასს სხენებულ ბრძოლაში და რომელიც მას ეუბნება, ნუ იბრძობებო, შენ მდგომარეობის გაუმჯობესებას ნუ ცდილობ, შენ დაჩავრებულან ბრძოლის მოგრიდებო, — სოციალდემოკრატის მეთაურები მეუბნათა კლასის მტრად დაიხსახვენ, — ქართველ ერის ასეთივე მტერია ყველა ის ადამიანი, რომელიც გამოიღის და ეუბნება ქართველებს, თქვენს დამჩავრებულან ბრძოლას ნუ დააგებითო, ეროვნულ ბრძოლას მოგრიდებო.

ეროვნული ბრძოლა ასეთივე საქმიან და აუცილებელია, როგორც სოციალური ბრძოლა, ეროვნულ დაჩავრის მოსპობა ისეთივე საქმიანა, როგორც ეკონომიურ დაჩავრის მოსპობა.

და როგორც სოციალური ბრძოლაში იმ მხარე, რომელიც დღეს დაჩავრულია, თავისი შიგვერდით თვითიანაც არ უნდა დასჩავროს, არ უნდა დაიფიცოს, რომ ისიც, შიგვერდით, ადამიანი, რომელიც მხოლოდ ახლანდელმა სოციალურმა პაროვანებმა შიგვერდელა გახადეს, ისე თავისუფლებისთვის მებრძოლი ეროვნული სხეს დაჩავრება უნდა ერთდოს, რადგანაც ეს სხვისი დაჩავრა, სხვისი დაჩავრით გაბატონება, სხვისი უფლებებით გატეგობა არის შოგინისტიზმა და შოგინისტიზმა, როგორც პოლიტიკური ცალმხრივობა და ფინატიკოსობა, ეროვნებათ ერთმანეთში გამოიშვები და საქმის დამაუფლებელია...

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვამბობა, რომ ქართველები უნდა ცდილობდნენ გაძლიერებ ქართველები ეკონომიურად და კულტურულად ისე, როგორც სომხობის გაძლიერებას ცდილობენ სომხები, რომ საქმიან ორივეს გაძლიერება შეეძლებს საერთო მტერთან საერთაშორისო ბრძოლის დასაწყებად, ეს შოგინისტიზმა არ არის. არ არის შოგინისტიზმა ჩვენს სურვილიც, ქართველმა ქართველებს შეუწყოს ხოლმე სხვისი უწყობა, რადგანაც სომხები სომხებს უწყობენ ხელს და სომხების გაძლიერებს ცდილობენ.

ეს ჩვენი სურვილი ცოცხეობით მაინც სპობს ადგილობრივ ეკონომიურ უპანასწორობას და შესძობლად ხელს მოხ-

ვალში საერთო ბრძოლას აქ, კავკასიაში, ეროვნულ თანასწორობას და ეროვნულ თავისუფლების დასამყარებლად... პირიქით შოგინისტიზმა და ქართველების სამტრა შოგინისტიზმა ზოგოვით განსატრანის შეცდინებმა, — ქართველმა ერმა ეროვნულ ბრძოლაზე ხელი აიღოს და მთელი თავისი ძალი დასაბუთებ და მხოლოდ სოციალურ მიზნების განხორციელებას შესწიროს. ეს შეცდინებობა სპობს ეროვნულ ბრძოლას, მაგრამ არა სპობს ეროვნულ დაჩავრას. იგი ხელს უწყობს ახლანდელ მდგომარეობის შეჩინებას და ამიტომ სასარგებლოა იმთავთის, ვინც დღეს დღეობით სხვისი დაჩავრით გაბატონებულია...

ს ადამიანი, რომელიც მეუბნა ეუბნება, კამათალისთან ბრძოლა უეზინდო და ამათ ხელს უწყობს კამიტილისტ მუშის დაჩავრაში, ასეთი ადამიანი ხომ თვითიანაც მეუბნის დაჩავრებულა!

ასეთივე დამჩავრებელი, ქართველების ეროვნული დამჩავრებელი ყველა ის ადამიანი, რომელიც ხელს ეუბნება, — შენზე გაბატონებულ ერთან ბრძოლა ნუ გინდა, და ამათ ხელს უწყობს ქართველების ეროვნულ დაჩავრას!...

დღეს ქართველმა სომხებისაგანაც არის დაჩავრული ეკონომიურად, — ამ დაჩავრის მიზეზია უზთავრსად თვით ქართველების უეპელობა, დაუფლებობა, და უანგარიშობა, — ჩვენ მოქმედებისკენ ვიწვევთ ხალხს, ჩვენ გვინდა ქართველებმა და დაიწყონ თავიანთი ვაქრობა-მრეველობის აყვება, მოპკილანი ხელის ხალხის კულტურულ განვითარებას, — გვინდა ამათ მოსპობა ქართველების ეროვნული დაჩავრა, სხვისი დაჩავრა არ გვეგინება — ეს განა შოგინისტიზმა, ამას უნდა გაუმობრდეს განა ადამიანი, რომელსაც უნდა ერთმანეთის დაჩავრა მოსპობს და სრული ეროვნული თანასწორობა დამყარდეს დედამიწაზე?

შოგინისტიზმა და ეროვნება დროა თვალის ახილვის ქართველმა და დაინახოს რომ ის გზა, რომელსაც იგი ს.დემოკრატების რჩევით ადგია ქართველებს განმანაგებელია, რომ დამჩავრებულან ბრძოლა ეროვნების დაცვა და არა შოგინისტიზმა, რომ ეს ბრძოლა სავალდებულოა ყველასთვის, ვისაც თავის ერის ცოცხადენი სიღვარული აქვს გულში, ვისაც ქართველ ერის სიკაცებე უნდა!

ქ. თუმანიშვილი

გონივრე, დამივიწყე!

ურთა შეაკვეთე: ტურფავი, ოცნებას, ნუ მოეყრდნობი მკერდს ადღევებულს; ნუ მომიწამლავ ნორჩ გულს, გონებას, ნურც ისარს მტკორცნი, ენებით აღგზებულს.

ისედაც მტანჯავს ცხოვლი და სენი, — ვთხოვი, დამივიწყე, ჩამომხსენსი!...

მაღამოს ვერ სცებე ჩემს მწვევე წყულუსა, ვერ დამიბრუნებ გემს ნეტარ წარსულს; ვერ გამიმთვლებ დამსხვრულს გულსა, ვერც მომიანკებ ნეტქარს, სიყვარულს...

სულ ამაო ფიქრი, ადუ შენი, — შენ გენცვალე, ჩამომხსენსი!...

გ. გრიშაშვილი

დაბა-სოთელები

განჯა. პოლიციის მეორე ნაწილის რევიზია მოახდინეს. 1000 მანეთზე მეტი სახაზონო ფული გაფლანგული ყოფილა.



მიიღოდა გამოცემული მანეთიანობა... ქათურიდან აპროლიზ გაუტანიათ 3.421.500 შავი ქვე.

ახალსწავისა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ამეურნესა გამგეს ბ. ჩიტავის გუბერნატორისათვის უთხოვია ნებათავე სოფლებში მოლაპარაკების განამართად სხვა და სხვა ამანაგობი და კოოპერატეების მნიშვნელობის დასაბუთებ სხვა და სხვა ამანაგობი და საქმიანების შესახებ. ამავე ჩიტავის მიწველა მოხსენების შედგენა სამეგრელოში მეურნეობის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ.

სიღნღი. ავტომობილების მიმოსვლა დაიწყო, მაგრამ ხალხი მას ნაკლებად ეტანება. მიზეზი — სიძვრე, (5 მანეთი) და ის გარემოება, რომ ავტომობილების ტყუილის ჩრგდება გომიერის ქ. ფოსტასთან, რაცა მტკვრის მეორე ნაპირს მცხოვრებლებისთვის მეტად უხერხულია.

ს. ჩირვიში. (ერევნ. გუბ.) გვალვამ შეაწუხა აქაურთა. ამ დღეებში ქალები ადგილობრივ სომხ მდგლის მეთაურობით გამოსულან ყანაში შესალოცად. ზოგიერთი მათგანი გუთანში შეტეულა და გუთანი წყალში გაუყვანიათ. ერთი ქალი, კაცად გამოწყობილი, მათ უკან მიხლდა და ჩაქუჩით ხელში წინ მიეგრეკებოდა. სხვები მათვე მდინარედან ამოღებულ მცვრივ წყალს ასახვდნენ. ამის შემდეგ ქალები იქვე წყლის პირას ამოიკვეთ მუცლებთან მიღობად კურთხევის მისაღებად. ამით წვიმის მოყვანა უნდა.

გორის მახრა. გვალვამ სოფლებს ძველი შოლოცები გახსნა. კორნისის და დლორის ხეობებში გალობით და ლოკეთი დაღობდნ და სხვა და სხვა შელოკეთი დღერის წვიმის მოყვანას ევედრებოდნ. ქალები ახლაც აქა-ი დადიან... საკვირველია, რომ ხალხი ყანების მოსარწყავ არხების გაყვანას არ ცდილობს, გორის მახრაში წყალი ხომ ბოლომად არის, სულ მუდამ მთავრობის დახმარების და შელოცების იმედით ხომ ვერ დარჩება ხალხი...

ჭალის შთა. ჭალის მთის მოიჯარავრე ინგისლები ისევ გამოჩნდნ. ამ დღეებში მათგან წერილი მოსულა, მალე ინგერებს ვაგზავნით და მუშაობას ხელახლად ვიწყებთო. მიწის პატარონებმა ახლავე რადენიმე წლის იჯარა ერთობლივად უნდა მიიღონ. სულ ასი ათას მანეთზე მეტია ახლები.

ჭიათურა. ახლო-მახლო სოფლებმა გადაიწყვიტეს ს. ქიათურაში დაიარსონ მოხმარებელი საზოგადოება ჩვენი ოჯახი.

ახალციხე (ს. თოდრის). საიღლებ გლების ზურბა გოგოლოპის ოჯახში მასპინძელს ლაპარაკი მოსვლია სტუმართან ტყის მცველთან, რომელმაც ხმალი იძრო და მასთან ერთად მისი ქალიშვილი მიიშვე დასაქრო. დანარჩენმა სტუმრებმა გამხეცებულ ტყის მცველს კტრებით თავის ქვეა დაუმხვრეს.

გუდაუთი. ს. ჯიხინის ორკლასიან სასწავლებლის შენობაში საღამოს 8 საათზე ადგილობრივი მასწავლებელი პეტროვი ბავშვების რვეულზე ასწავლებდა. ამ დროს სახლს სამი შეიარაღებული უცნობი მიიღვა. ბავშვი ერთი მთავანი სახლში შეუფა, მაგრამ, რაც ეკვი შეფა-რა მასზე, მასწავლებელი გაფრთხილდა, ელოც ავი კაცები მოვიდნო. მასწავლებელმა მოსწრო და შემოსულს კარები გარდაღებ ჩაუტკა. მომწყვდელმა ხეშეშე და უფურ მასწავლებელს, — გამოიშვი, შენი ენება არ გვინდაო. მასწავლებელმა დაუუჯერა და გარეთ გამოუშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ გარედან სროლა ასტყეს უცნობებმა, მაგრამ მასწავლებელს ვერაფერი ვერ აწეს. ვინ იყვნენ ისინი, ჯერ ვერ გამოუარკვევიათ.

განჯა. ახლად არჩეული ხომსენი გუბერნატორმა დაამტკიცა. ადგილობრივ

„კულიანა“, „სიკრიკოსი“, „—ელი“, „სული“, „პიტა“ და სხვა მისთანები კი ქვეყნის ამწებლები!..

ეს ვაე-ბატონები არც ლანძღვა-გინებით კომპოზიციონერ და „მაბიჭურ“ კრიტიკოსობასაც ჰკიდებენ ხელს: განზრახს იღებენ მათგან ათავსებულ წიგნსგან ერთ რომელიმე აზრს, გლეჯენ მას თავსა და ბოლოს, აკეთებენ იმისგან თავისებურ დასკვნებს და ისე აწვდიან თავიანთ მოციქულებს, მდამბობ ხალხში გასავრცელებლათ და იმთაღ დასაბნელებლათ.

ერთი ასეთი მოციქული თურმე—რავს, თუ ცხრა თებერვალს—ბათობისკენ მიუგზავრებოდა მატარებლით. ეს ვაე-ბატონი „უშაპის ბათობით“ ხელში დაიღობდა და თურმე „მასაიერებში“ და ირწმუნებოდა, რომ „ყველა ის, რაც უშაპის მთარაში“ და „ჯოჯახებში“ სწერია, ათამელადის შესახებ, სრული კეშმარტებააო“. როცა მას უპასუხეს: „ამ კაცს ჩვენ უნებდნენ უკეთ ვიცოდნოდა და ყველა ის, რაც აქ მის შესახებ არის მონათხრობი, განზრახს შეთხზული ქორეზიოა“, მაშინ ბნელეთის მოციქულმა თურმე ზუჭი-კრივი მოინდომა წინააღმდეგის დამტკიცება! ასეთვე თავგამოდებით ავრცელებდნენ ისინი ამ „სიკრიკოს“ ეპისტოლეს სოფლებშიც. ასე გასინჯათ, მონატრებიც კი არ გამოარჩენიათ!

აი რა კაცების იმედით მოღვაწეობენ ჩვენებურ პრესის „მაბიჭები“! რა ნაირი კავშირი აქვთ მათ იმ ბნელეთის მოციქულებთან, რომლებიც სოფლათ დამტკიცებლათ, და ასე ურცხვით სწამლავდნენ სოფლებს შორისგან განიერებს: პირველი მოკრავენ და გაზუბნი გაბოზებენ; უკანასკნელი ყველა ამას, ხალხში სინამდვილეთ ასაღებენ*). აი, სწორეთ ასეთმა ბნელეთის მოციქულებმა და „დაარსებულმა ხალხის შეფრთხილ ნაწილი იმაში—რომ, ვითომც დიდებულნი მგოსანი ი. ჰევივაძე მკაცრი და შეუბრალდელი გმამულე ყოფილიყოს, რომ საწყალი გლეხისა სსმელთა წყალი არ მიეცეს და ვითომც წყლით სავსე კოკა მისთვის—თავზე დაეჭრებინა! ამიტომაც საკურთხე: ჩვენებურმა პრესამ და მკითხველმა საზოგადოებამ მანამდის მიაკვირნ ამ მოღვაწეს ყურადღება, სანამდის ის მათ—სენათ არ გადაეცემაღღღ, თავის მხრივ მცდელობები ამ „აუსულთა“ ხრატების გამოქადაგებას.

ალბათ მკითხველსაც ეგზოსორებმა, რომ ბნელეთის მესაღღღღღღ „კულიანა“ ჩემზედ გამოლაშქრებას ფედერალისტების გალანძღვა წაუშლდებოდა წინ! რატომ?!—მიტომ, რომ დაანახოს თავისი მტრული განწყობილება ფედერალისტებისადმი ს.დ. ზოგიერთ გულბრტყილო წყერებს და ამით დაუმტკიცოს მათ თავისი „მაბიჭური“ მეგობრობა. მკითხველს ნუ გაუკვირდება, თუ კულიანები—მოწინააღმდეგე პარტიის გალანძღვით ფეკობენ სოც.დემ. ზოგიერთ წყერებთან დაახლოვებას და იმთა თანაგრძობის თავისკენ გაღობას. ამიტომაც, რომ „კულიანა“ ჯერ ფედერალისტები გალანძღვა და შემდეგ ჩემსკენ იბრუნა პირი, თავის „სიკრიკოსის ეპისტოლენი“ ის გაიბახბს: „ტ. ათომელაძეს ებოლებინა სიურტუტი აცვიო და „მირაოვი პოსტინიკობას“ დაეხმოსა“.

საკითხავია: რატომ დასკვირდა მას ასეთი უშიშროება სიკრიკოსის გამოგონება?!—უშეველია იმიტომ, რომ მდამბობ მკითხველთა ყურადღება „სასმარებელ“ და „ტანისამოსზედ“ გადაიტანა... და ეს კი იმ დროინდელი ხრიკია, როცა კულიანისთანა ვაე-ბატონები ხალხში ერთი სოსის ტინი ამოსით ისაღებდნენ თავს სოციალისტებათ და სხვებს კი ყველას—ზურუქებათ და ხალხის მოსისხლე მტრებათ ნათლავდნენ**). აი, სწორეთ ასეთივე მოსაზრებით მკაცრებს ღღღ „კულიანა“ იმას, რაც (სულ სხვა მოსაზრებით და მიზეზით) ამ უკანასკნელ წლებში არა

მცხია და მამებნინებს იმას, რაზედაც ჯერ არც მიფიქრია და არც რაღაც მიმხმნია! ამაზედ მეტი უტიფრობა კიდევ შეიძლება? თუ კი ეს ვაე-ბატონი ასეთ ყველაზედ სთინ ადვილათ დაიანახს ტყუილების შეთხზვასაც არ ერიდება, რაღას უნდა მოველოდეთ მისგან ისეთ რამეში, რომლებს დაწახვა და შემოწმება ყველას არ შეეძლება? რადგან მთელი მისი „სიკრიკოსი ეპისტოლე“ ამ გვარზედ ტყუილებით არის აღსავსე, ამიტომ იმისი ცალ ცალად აღნიშვნა ინტერესს არ წარმოადგენს.

დ. აბოშელაძე
(შეზღვეა იქნება)

სხვა ზინათურიდან

დროების 105 ნომერში მოთავსებული წერილის (ქიათურის საქმეები) ავტორს ბ. არა მრეწველი პასუხად: ბატონო არა მრეწველო, მარა შევიქვს მრეწველობის და მის ყოველგვარ დაწესებულებებში მეთაურო და ვითომც დიდებულ გულმეცხივარო და პატრონო! რას მოასწავებს თქვენი წერილი, ხომ არ გეშინიათ იმის, რომ შავის ქვის მრეწველობა საზოგადოება, როცა იქნება გამოიფხიზლებს, რასაც ის მოყვება, რომ მათთვის მოკრინახულეს. მზრუნველს და სასარგებლო კაცს იცნობს?

ვინ იქნება ისეთი კაცი, რომელმაც იცოდეს მრეწველობა ბიურო ასსოციაციის დაარსების მიზანი და მისწრაფება, და მინც სთქვას:—„შავი ქვის მრეწველობა სივლი და მრეწველობა ბიურო ასსოციაცია ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკი იყვანს? ვინ შეადგენს შავი ქვის მრეწველობა სივლი, ან ვინ შეადგენს ბიურო ასსოციაციას, თუ არა იგივე სივლის წევრნი მრეწველები, ვარა ექსპორტერებისა?

მაშ რა წარმოსადგენია იფიქროს კაცმა, რომ ბიურო ასსოციაციის დაარსებამდე, სივლის დროს, ზოგიერთ ადგილობრივ და წერილ მწარმოებლებს სასარგებლო საკითხების გადაწყვეტის საქმეში, უცხოელ ექსპორტერებთან მტრული მოზანაყე წერილი მწარმოებლობით, ღღღ, ბიურო ასსოციაციის დაარსების შემდეგ, ექსპორტერებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულთა მოქმედებდნენ ბიურო ასსოციაციის გამგებების ბიარსებლობით.

ეს მართალი არ არის, ბ. არა მრეწველო, აი სიმართლე რაშია: თქვენს სანფლოში ბიურო ასსოციაციის დაარსების, მეორე სამეფოს გაჩენათ თვლით, რომელსაც, როგორც უფრო ხელმისაწვდენს მწარმოებლებისთვის, თავ თავის დროზე კრებების მოხორციელთ და აზრების გაზიარებით, შეუძლია საზოგადოება. ეკონომიური განვითარების გზას დაეკვირვოს და ეს შემთხვევა თქვენთვის ხელსაყრელი არ არის, ვინაიდან თქვენისთანა მად გახსნილ პირებს საკენი პორტია მოაკლდება.

ამიტომ არის, რომ ბიურო ასსოციაციის ყველა თავგანდობა-გზ. ბ. პაპავაძე და წყვეტილი ბ. ა. გამრეკელამდე უსაბარლო ცდის სწამეთ, დაუშაბო რებულ სასჯელს აყენებთ და არავითარ საშუალებას არ ზოგავთ, რომ თავიდან მოიშორათ ვითომც არა მეგობართა მოზანაყე.

ამნაირად გინდათ ჩვეულებრივ შვირჩინოთ ის საკენი, რომელიც დიდი ხნია თქვენ შავი ქვის მრეწველებისაგან გაქვთ, როცა თქვენი გემოვნებისაგან „ნადის“ საშალებით კრებაზე თქვენი სასარგებლო საკითხი წყდება, მაშინ თქვენ აქვთ ქიათურის საზოგადოებას, ხოლო როცა წინააღმდეგ ამისა მოზიბება რამე, მაშინ ახდებთ და ცხვრების ფარას ემხიბთ მათ. საზოგადოება რებუტიტორია და როცა იქნება თქვენთან რებუტიტორიის მორჩება, და არის 92 კაცი, სივლის წევრების, ხელ მოწერილი პროტესტის ქაღალდი, რომელიც ბ. ა. გამრეკელს ავტორბიდან დათბოვის შემდეგ შემოვიდა საბჭოში? ან რომელი ხელმძღვანელობდა საბჭო, რომელმაც გამრეკელს მისცა სამასი მანეთი საბჭოს კასიდან და მის მაგიერი კაცი სხვა დაწინა ავტორბი იმევე სასიყდრის, რასაც ღებულობდა გამრეკელი. იზარადა თუ არა ამ შემთხვევაში საბჭოს კასამშის სამასი მანეთი ხომ დაეკვირვებოდნენ რუსეთში შეთხზულს სასწავლებლო ერთ-ერთ სტინენტიტორს, მაშინ რათ დახარჯა სხვისი კასამ ეს ფულეობი, ან რათ მოგებური ასე არა აღმაი-

წერთ საბჭო ცოლმვილის პატრონ კაცს?

ამის ახსნა ადვილია—მიტომ, რომ ის ბიურო ასსოციაციის თავგანდობართი არჩენა წერილმა მწარმოებლებმა! ბ. არა მრეწველო, როგორც წარმოადგენს მკენება მას, 28 აპრილს კრებაზე მრეწველები ისე მკაცრად ვერ შეხვედრია და ამას აღუფრთხილებია და აქვებს ამ რიცხვის კრებას. ბ. არა მრეწველო, განა 28 აპრილის კრება მარტო ფოთის გადასახადის მოწინააღმდეგე იყო და არა იმისიც, რომ საბჭოს კასის სასარგებლოთ საფუთო გადასახადს მოემტროს მარგანეცხე ამ კრების დროს. მაშ რამ გამოიწვია კომისიის არჩევა, თუ არა ხარჯების შემოკლებამ, რომ ისედაც დაეცემული ფასები მარგანეცხე, უფრო არ დაეცეს რამე სბორის მომატებით?

მარ-თქვენ თქვენებურათ დასწერეთ შეიძლება კრების ოქმში. ამის ანალიზი შეიტკობა სივლის დროს, თუ იქნა მრეწველი ამ წერილში, მარა ვინაიდან იცდებთ ამ წესს მოწვეული, იმისადაც გინდობთ, რომ თქვენთვის პირადათ ხელსაყრელი არ არის სივლის მოწვევა.

მეთორბეტე წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც რომ შავი ქვის მრეწველებმა თავიანთ დაწესებულებებში სხვა და სხვა საქმეებში ავირჩიათ და დიდ ჯილდოსაც გაძლევდნ; მაშასადამე; თქვენ ზეგობრივ მოვალეობას შეადგენს წიფელის გულით ემსახურო საზოგადოებას, მისი ეკონომიურად დაბეჭვების საქმე გაუზუბდეს და გტანჯავდეს.

ნაცვლად ამისა თქვენ ხედავთ, რომ ეს საზოგადოება გალატაკების გზაზე დადარდა და თქვენ კი ამის გულ გზობრივად შეპყრობით და დილობატიურად ისე გაქვთ საქმე მოწყობილი, რომ მარტო საკუთართი ჯიბის ინტერესებს იცავთ და თბილი ბინის შენარჩუნებას აქცევთ ყურადღებას მეტს არაფერს.

ბ. არა მრეწველო, თქვენ იტყვი: რა გნა მერ, თუ საზოგადოება უფრო გონიერად ვერ იქცევა, მაგრამ, საზოგადოების წინაშე მისი საქმე საზოგადოებრივად ვიცნება მის უმეტესობათ და თქვენ ხომ ამ დროს ავრტები გაყვით და ნადის შეწვეა იციო!

ერთი სიტყვით, თქვენ, ბ. არა მრეწველო, გარყვნიათ საკუთარ ინტერესებთან საზოგადოების მატერიალური და ეკონომიური ინტერესებზედ განტრეტებდეს, თორემ ხომ იციოთ ცხოვრებაში ორი მომენტია: პირველი ის—რომ კაცი რომ მოკვდება მერე აფასებენ. კარგი კაცი იყო თუ ავი, ზნეობრივი თუ გულეკვა და თავის ინტერესების მტრ არაფერი სწამდა. მეორე მომენტი ურმის გადამტრუნება მოვალეობებს, რომლის უკან გზა გამოიღდება ხოლმე. ქიათურის წერილი მწარმოებლების ურმის გადაბრუნებას ბეგერი აღარ უკლია, როცა ეს მოზიბება—საზოგადოება თქვენ გულს-შემატიკობობას დაავსებს, და ვფიქრობ, ის დაავსება ჩირქს მოკცებს საშუალოდ. მასთან გირჩეთ და ვთხოვთ ფეცდონიმებს ნუ ამოეფარებით, რადგან ბეგერი ნაწილოდ იქნინებთ შედარება-დაფასებას თქვენი წერილის აზრთან თვით ავტორის საზოგადოებას საქმეებში საქმით გულმემატიკობობის შესახებ.

შავი ქვის მრეწველი **ფ. დ.**
20 მაის 1909 წ.

ბ ი ბ ლ ი ი ა გ რ ა დ ა
დავით ჯიბის ძის დავითი
(1035 წ. № 135)

დავით ჯიბისძე ყუთფანის იმ დასს, რომლის უნაგარო მოღაწეობამ დიდი სიკეთე დასთესა საქართველოში. დავით კურატპალატი († 1001 წ.) და ბაგრატი III ერთის მხრივ და მიქელ მიდრეგილი, ბეგია, ეზრა ანჩელი, საზა მტებვარი და ათარის მამები, მეორეს მხრივ მწყობრად მუშაობდნენ საქართველოს გასაძლიერებლად და ასაყვავებლად.

დავით ჯიბისძე იყო შვილი იფანესი და შუშანასი, რომელთაც ხშირად იგონებს თავისი დავითი. ეს დავითნი მან გადააწერინა თავისი შვილს ივანეს 1035 წელს. ერთ ადგილს იგი ამბობს: „დაეწერე ესე წიგნი ბრძანებითა ეზრა მამად თავიანთსა, შეუკრძელებისა და მწყობრებისა ჩემისათა, დაეწერე ხელთა სულეიერთა მამთა ჩემთათა საბაისითა, მიქელისითა და გამბრიელისითა და გაგასრულე ხელითა შენისა ჩემისა ივანესათა“.

ენითა და შეგვიფე უღირსითა ხელითა ჩემითა და დავდე შეტრდეს... სალიდებულად ეზრა მამადმოთარისა და მამისა ვფიქროსისა...
ფრიად საგულისხმობა დავით ჯიბისძის შეხედულება წიგნის კითხვის მნიშვნელობის შესახებ. ერთ ადგილს იგი შენიშნავს (გვ. 508): „პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს. მუ და მთავრად ხორცთა ჩვენთა სახმარად დაძაბნა, ხოლო წიგნი სულთა ჩვენთა განმანათლებლად მოგვებლანა“.

შემდეგ განაგრძობს: „დავითი (დავითი) მდინარე არს წყლისა ცხოველისა და თარგანნი (— განმმარტებელი) მუშანია დაუძინებელი: მის მდინარისაგან ზოგი ვენებასა შეუდგება ან და ზოგი ყანასა და სხვაი სათიბესა“.

და ბოლოს მიმართავს მომავალ თაობას: „რომელიც მოხუთი გამოსაცვლელად საწყუთოსა ამს და არღილებრ წარმავალსა ცხობებას, რა ეზრს მოგცეს ფლობაი კოფედ ხილულსა ამს მესე ქვეშე და ჩვენ მტერს და ნაიარ ქმნილი ვიცნეთ, მოგვისწენით წმიდათა ლოცვითა თქვენთა. მოვლენან უამინ დაუსრულებელი და ჩვენ არღარა ხელგვეწიფებოდა აღმოკითხვად, ვითარცა ჩვენსა პირველთა წარსულთა მამათა და მამათა“.

მონაწილე თავდება შენიშნით: „ამის წაგნისა ეტრატე კახისა საფსოსითა იცილდე. დაიწერა ქორიკონსა სწე“ (— 1035).

სადა ვიხიბის წიგნი პატარა ტანი-სა (in quato გვ. 541) და შეიკავს ორს განყოფილებას: პირველი (428 გვერდამდე) ბასილი მთავარებისკობის თარგანებანია ფსალმუნებისა 1, 7, 14, 15, 25, 29, 33, 37, 44, 45, 48, 59, 61, 114, 115 და მეორე (429 გვერდიდან) თარგანებანე ფსალმუნებისა უკნოდ მწერლისა.

აქვეს დასრულდა დავითისა ფსალმუნთა თარგანი ბასილი კესარელისა ბრძანებული და ესე აქედან (გვ. 428) წაბადი დავითთა შიგან ვაოე თვითო მუსლასა ზედა თარგანი, ხოლო სახელი არა შეწერა, თუ ვისი თარგანილი არს“.

ამ უკანასკნელში, სხვათა შორის, განმარტებულია მე-14 მუსლი მეთექვსმეტე ფსალმუნისა. ეს მე-14 მუსლი როგორც აქ, ისე ეფთვიმისა († 1028 წ.) და გიორგი მთაწმინდელის († 1066 წ.) დავითებში ერთნაირად იკითხება, ხოლო განსხვავდება ბერძნულისა და ლათინურისაგან. შეადარე:

„განდენ ქამალითა მათითა, დაუტევეს ნეშტი მათი ყრმათა მათითა“. ეს მუსლი ასეა: ბერძნულსა და ლათინურში ასეა: „Сынвоя ихъ сыихъ и оставяе остаюлю дѣтвнъ своихъ“.

სომხურში კი ქართლის მსგავსადა: „ამდენ ქამალითა და დაუტოვეს ნეშტი ყრმათა თვისთა“. ძველი მთარგმნელი თითონვე შენიშნავს, რომ ამ მუსლის განმარტება საბასო სავნად შეიქმნა, რომ ქართულებში „ქამალითა“ ვიცნეს, რაც სხვაგან ღორადია.

დავით ჯიბისძის ზემოხსენებული პირების სახე, ეზრა და სხ. ცნობილინი არიან მათიანთადაც.

1028 წელს ბაგრატ მეოთხეს განუდგნენ ტაოს აზნაურნი და ზემო საქართველოს (ტაო-კლარჯეთ-აჭარა) გადასცეს ბერძენთა იმპერატორს. საზა მტებვარს, ეზრა ანჩელმა და ამით ერთგულემა, იხილეს-რა, რომ საშობლო იღუპებოდა, ტბების წინ ააშენეს მადლი სიმავრე, შოგ ჩადგნენ, მოიწვიეს თავისუფლებისათვის თავგანწირული ქართველები და დაუწყეს ბრძოლა ბერძენებს. ეს უკანასკნელი ღიბანს იბრძოდნენ, მაგრამ ეზრას ვახდენ, მისას და ეზრას სიმავრე, რომელსაც სვეტი ერეკლე, მტერი მრავალგზის შემუსრა და უკუ აქცია. ძალით რომ მტრებმა ეზრა გააწყვეს-რა, ახლა იქნას მიმართეს. მეცხოვრე ქართველებს ფულს და წარჩინებას პირადე-ნილითა და უხვეწებოდნენ დავითობრილითა, მაგრამ ამოდ: საზა და ეზრა ამაგრებდნენ, ამნეცებდნენ ქართველობას და ეუბნებოდნენ: „მამო, მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გვირგვინი ახოვნებისა“. ბოლოს მტერი დამარცხდა და გაერთიანებული საქართველო (ახ-საზეთ-ქართლი) უმეტესად გაბრწყინდა. რაღა თქმა უნდა, ყველა ამის მომწერე და ყველა ამათი ხელშეწყობი იქნე-

ბოდა ჩვენი დავით ჯიბისძეც, რადგან იგი, როგორც სწავს ჩვენი დავითის მინაწერიდან, ეზრა მამადმოთარის ხელ-ქვეითი და მორჩილი იყო ყველაფერში.

გ. ჯ.
წერილი რედაქციის მიმართ.
ბ-ნო რედაქციო!

გთხოვთ ამ მკორე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატრეცემულ „იფიკიაში“.

ქიათურის მეოცადავტურს.

„იფიკიის“ მე-21 ნომერში წავიკითხე ქიათურის საუთთიერო ბანკის საზოგადო წლიური კრების შესახებ თქვენი დაუფასებელი მეოცადავტურე, ქალაქებიდან იქნება იგი, დაბებიდან, თუ პრივილეგი-ბიდან, ვალდებულია საქმის მსვლელობის სწორი და უტყუობათ ვითარება დასწეროს მკითხველი საზოგადოების, ამო თუ იმ სახელი, მსჯავრის დასაბამათ. თქვენ ბ. მეოცადავტურეც, ენებით ამ კრების ოპოზიცია და გტყუობათ მისი დამარცხებით მხიარულდებით: ხოლო რა შეგება იმას, რომ ბედნიერია დღეს ქიათურის ბანკი და მისი წევრები, ან რა თოლის მათ მომავალში, ბედნიერება თუ უბედურება და ზარალი, ამაზედ ვადა-ქრითი და დასაბუთებულად ვერაფერი ბრძანებთ.

ერთი სიტყვით, თქვენი წერილის აზრი არსებითად იმაში გამოიხატება, რომ ჩემს ხსენს ირონიულად შეგებით და სწერათ: ცნობილი ფილიპე ბრძანია!

მე არას დროს არ დამიტრახანია ცნობილი კაცი ვარ-თქო.

მე თითონ ვიცი, რომ არც ბოროტების ჩადენით და არც საველეობაქმელ საქმით ისტორიაში წილი არ მიძვეს.

რადგან ქიათურაში მკითხველი და არა მკითხველი საზოგადოების მეტა ნაწილი იცის ჩემი, ასე თუ ისე, მიმართულე-ბის საქმე, თქვენი ღიბანის ვერ იკონებს ვერავითარ გავლენას, მით უმეტეს, რომ რაღაც პირადი ანგარიშები უნდა მქონდეს ჩემთან.

უკუშაბლობა არ უნდა ასეთ საქმეში, თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი გვამცნეთ და შემდეგ ვილაპარაკოთ, თუ ჩვენ შორის ვინ რითი არის ცნობილი, „იფიკიის“ პირველი ფოსტით მოველი ამის ცნობას.

ფილიპე ბ. დარჩია
26 მაის 1909 წ.

სასუხეთა ნიკოლოზ გაბრიელისძეს ბანს ოთხმე-ზურს.

რასაკვირველია ვეთანხმებით თქვენ-წერილზედ, რომელიც იყო მოთავსებული ვაზეთ „დროების“ № 100, მხოლოდ ნუ დაივიწყებთ ჩემს წერილსაც ვიხილე „იფიკია“ № 15, სადაც ვთხოვლით ვაზეთის საშუალებით, რომ გამო-ბასავდეთ. მაგრამ თქვენ ვარი ყვით ჩემს ასეთს წინააღმდეგს და მიწვევით საამ-ხანავო სასამარლოში. მიუხედავათ თქვე-ნი ასეთი ორებისა, სიმამრებით გვიან ხმებით, ბ-ნო ნიკოლოზ.

ჩემის მხრით მედიატორედ ვასახლებ ალ. კრინიკის და საქმის გარჩევა უნდა მოხდეს ქუთაისში.

პატივისცემით **გ. დაუნდობელი.**
1909 წ. 11 მაისი ქაათურა.

რედაქტორ-გამომცემელი
ქ. ი. ხერხეულიძე.

НОВОСТЬ XX ВѢКА
СТАЛЬНАЯ-АЛЮМИНІЕВАЯ
КУХОННАЯ ПОСУДА
АЛЕКСАНДЕРВЕРКЪ
А. ФОНЪ-ДЕРЪ НАМЕРЪ.
МОСКВА, Мясницкая, № 20.
ХАРЬКОВЪ, Мокшовецкая, № 11
И ВО ВСѢХЪ ЛУЧШИХЪ МАГАЗИНАХЪ
ХОЗЯЙСТВЕННЫХЪ ПРИНАДЛЕЖНОСТЕЙ.

*) ფრიად ძნელია ამ ვაე-ბატონთა გამოტყობა რაიმე სივალხებში რადგან მოწვევით ერთმანეთს უდებიათ. ისეთ წერილებს, რომლებიც მათი საქმიანობის წინააღმდეგ იქნება მიმართული, ხალხში გზას უარყვენ, ხშირად ვაზეთების ასეთ ნომერებს ვაძიებენ კარავენი...
**) რაც შეგება ტანისამოსს და სამსახურს, ამაზედ შეზღვევი შეშლილი ვაფუთო მათ: მე სასიხრტოთ და სათავილეთ კულიანასათი მატყუარობა მიმინია და არა სიურტუტი და მირაოვი-პოსტინიკობა.